რედაქცია

გალავნის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასო-მოყვრილით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანჭიროება მოითხოვს, რედაქცია უსწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

მომავალს 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წლიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“ ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

საზაფხულო თეატრში
ოთხშაბათს, 25 ნოემბერს
ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
მესამე აბონემენტის რიცხვში
I
დანგრეული ოჯახი
დრამა 3 მოქმედებად.
II
დივერტისმენტი
მონაწილეობენ ა. მესხი ა. მოხევე.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზე.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ამიერის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 21 ნოემბ. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: შეეცვალა მე-67 მუხლი „სახელმწიფოის დაცვის“ წესდებისა:

სასამართლოს კარები დაკეტილი უნდა იქმნეს ისეთ საქმეების განხილვის დროს, რომელსაც საზოგადოების აღელვება შეუძლიან; ადრე ეს უფლება ღენერალ ღუბერნატორებს ჰქონდათ მინიჭებული.

გაზ. „პორიადოკში“ სწერია: მთავრობამ გამოსცა ცირკულიარი, რომლის ძალით პოლიტიკურ საქმეების გარჩევის დროს სამხედრო სასამართლოების კარები დაკეტილი უნდა იყვეს.

გაზ. „ახალ დროებაში“ სწერენ ახალი სამხედრო ფორმა ტანისამოსისა მომავალ 1882 წლის 1 მარტიდამ იქნება ჯარში შემოღებული.

ამბობენ, რომ ყოველი უპირატესობა, რომელიც კი კანონით მინიჭებული აქვთ რუსეთიდამ კავკასიაში, ციმბირში და პოლშაში სამსახურისათვის გაგზავნილ ჩინოვნიკებს, უნდა მოისპოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სჯა არის იმის თაობაზე, რომ გუბერნიის სტამბები და უწყებანი შემდეგში იჯარით უნდა გაიცეს.

ღენერალის მროვინსკის საქმე 25 ნოემბერისთვის არის დანიშნული; სასამართლოს კარები ამ საქმის განხილვის დროს, ჩაკეტილი იქნება. იცვენ: მროვინსკის—სპასოვიჩი, ტეგლევს—გერარდი, ფურსოვს—გაევსკი; გამამტყუნებლად (პროკურორად) დანიშნულია—მურავიევი.

თ. შარვაშიძეს განზრახვა აქვს კასაციური საჩივარი შეიტანოს სასამართლოს გარდაწყვეტილებაზედ.

## ჩვენი საზოგადო საქმის მოთავენი

თფილისი, 23 ნოემბერს.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად მოხსენებული, რომ გავლილ კვირას არწრუნის თეატრში იყო კრება სომხის ახლად-დასაარსებელ „ქველ-მოქმედ საზოგადოებისა“, კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქმნენ ამ საზოგადოების გამგეობის წევრნი.

ამ ამორჩევის შესახებ გაზეთის „კავკაზის“ მე-254 ნომერში დაბეჭდილი იყო პატარა შენიშვნა, რომლის ავტორი, სხვათა შორის, ამბობს:

„საზოგადოების დანიშნულება არის: დაეხმაროს გახსნილ სკოლებს: გახსნას ახალი სკოლები, დაეხმაროს ხელოსნობის სწავლის გავრცელებას ხალხში, ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინოს მოსწავლეთა და სხვა და სხვა სომხებს, დაბეჭდოს წიგნები და სხვ.

„აქედამ სჩანს, საზოგადოებას ისეთი მიზანი ჰქონია, რომ იმის საქმეების წაყვანა ცოდნება-გახსნილ და განათლებულ პირებს შეუძლიან. მაგრამ ვინც 15 ნოემბერს საზოგადო კრებაზე და გამგე პირების არჩევანზე დაესწრებოდა, ეგონებოდა, რომ აქ რომელიმე ბანკის გამგებელთ ირჩევენ და არა განათლების საქმის წამყვანთაო. საზოგადოების გამგეობის წევრებად ისეთი პირები ამოირჩიეს, რომელთაც არა თუ წესდების შედგენაში მიუღიათ რაიმე მონაწილეობა, არამედ არც კი ესმისთ—თუ რა არის ნამდვილი დანიშნულება ამ საზოგადოებისა. მაგრამ ამ პირთ აქვთ ფული და ეს უღებთ ამათ ყველა კარებს, იქაც კი, სადაც განათლება უფრო საჭიროა, ვინემ ნივთიერი შეძლება....“

ჭეშმარიტებაა ეს სიტყვები. ყველა საზოგადო საქმეში, რომელსაც კი ჩვენებური სომხები იწყებენ, ყველგან ფულიანებს ჩააჩხერენ ხოლმე,

---

«დროების» ფელტონი, 24 ნოემბ.

## ელგუჯა *)

(მოთხრობა)

ერთს ცივს საღამოს, როდესაც ყინვას გაეჭირხლა ხეები და მთლად გაეთეთრებინა მთა და მინდორი, სვიმონის სახლში წამ-და-უწუმ შედიოდა სხვა-და-სხვა მოხუცი ხალხი, რომელსაც თან შეჰქონდა შინაური არაყი, ხაბიზგინები, ქათამი, ღორის გვერდები და-სხვა-და-სხვა რიგად მომზადებული მძღნები. ესენი მოდიოდნენ, მთის ჩვეულებისამებრ, სვიმონის მოსაკითხად, რომელიც მძიმე ავადმყოფი შექმნილიყო.

ისინი ისხდნენ ავად-მყოფის გარშემო და ცდილობდნენ იმის ნუგეშის ცემას და გამხნევებას. გაჩაღებულს ბუხარს გუგუნი გაჰქონდა მხიარულად და სრულებით არ შეედარებოდა იქ მყოფების დაღონებულს პირისახეებს.

იქვე იდგა სვიმონის ცოლი, რომელსაც გული უდუღდა თავის ქმრის მდგომარეობაზედ, მაგრამ, საზოგადო მთის ჩვეულებებისამებრ, ვერ გაებედნა გზის მიცემა შეგუბებულის ცრემლებისათვის. სვიმონის ორი შვილი, ერთი თოთხმეტის წლისა, მეორეც იმისი მომდევნო, თავს ადგნენ საკითხავად მოსულს უფროსებს, და შინაურს არაყსა თავაზობდნენ.

იქვე, სვიმონთან ახლოს, თავთან იჯდა მოხუცი ლინჯა, განთქმული მეფანდურე და მელექსე, რომელიც მოსულიყო სვიმონის გასართობად, და ყოველს სიმის ჩამოკვრაზედ რაღაცა სამწუხარო ხმას აღებინებდა ფანდურს.....

სვიმონ დასუსტებული მძიმეს ქშენით იწვა ქვეშსაგებში, დაღონებული ყურს უგდებდა ლინჯას სიტყვებს და შესცქეროდა თავის შვილებსა.

ამ დროს ლინჯამ ჩამოჰკრა ფანდურს და კვნესით, მწუხარებით დაჰსძახა:

„ღარიბობა და ობლობა
ორივე გამომივლია;
სჯობს ღარიბობა ობლობას,
ობლობა მეტად ძნელია!“

— ობლობა... ობლობა... ძნელი არის, ძნელი! მიხრწნილის, დასუსტებულის ხმით წარმოსთქვა სვიმონმა და ცრემლები მოერია თვალებში.

— რას დაღონდი, ბედშავო ჩემო თავო! განა აგრე უნდა? უთხრა ლინჯამ.—რაი გაშინებს, რაი გიჭირს სამაგისო?

— არ მეშინიან, ლინჯავ, არა!.... ეს ობლები მებრალებიან, წარმოსთქვა ავად-მყოფმა და გაიშვირა ხელი ბავშვებისაკენ.—ბევრი მტრები მყავს...

— ვოქკაცს მტერი არ დაელევის!

— ბატარეებს დამილონებენ, ლინჯავ, დამილონებენ.

— ნუ ჯავრობ მაგაზედ, სვიმონაისი, ეგეთი დედა ჰყავთ მაგათა, ღვთის მადლმა, რომ ვაჟკაცსაც გაუჭირდება მაგოდნობა.

— რაი ქნას მარტო დედა-კაცმა?

— მაი, მაგას კი თავი დაანებე, სიმონაისი, და ემ შენი შვილების სადღეგრძელოდ, ემ უფროსების ხათრით, შაირიგე ელგუჯაი. ნუ ამოაკვეთინე ფეხი თავის მამა-პაპის ადგილზედ, კიდევ დაანახვე თავის ქვეყნის ღრუბელი!

— ელგუჯაი?... მე არ ვეჩხუბები იმას.... რაიც თემმა გარდასწყვიტა, მე იმას არ გადავცილებულვარ.

— ბჭედ ამორჩეულნი გულ-ჩვილობას ვერ მიჰყვებიან! ისინი სამართალს სჭრიან, მოსამართლე გულ-ჩვილი არ იქნების. ქრისტიანი კაცი კი გულ-კეთილი უნდა იქმნას; რასაც მოსამართლე ვერ მოუტევებს, კაცმა უნდა მოუტევოს.

— ჰაი, ჰაი მართალს ამბობ, მაგრამ განა ღმერთი ვართ რომ ეგრე მოუტეოთ?

— ჰაი, ჰაი რომ ღმერთი არა ვართ,

*) იხ. „დროება“ № 244.

ყველგან ისინი არიან გამგენი, რჩევის წევრნი, მოთავეედ და მწარმოებელად ამორჩეულნი.

რასაკვირველია, ყველგან, ყველა საზოგადო, საქველ-მომქმედო საქმეში ფული საჭიროა, მაგრამ თუ ამ გვარ საქმის მოთავეთ ენერგია, ერთგულება, პატიოსანი შრომა და განათლება არ მიუძღვის წინ, დარწმუნებული იყავით, რომ მარტო ფულით ეს საქმე არ გარიგდება. და ენერგიული, ერთგული და საქმისათვის თავ-გამოდებული კაცი ყოველთვის ფულსაც იშოვის ამ საქმისათვის და კარგადაც აწარმოებს იმას, თუნდა თვითონ გროშის პატრონიც არ იყოს.

ამ გვარს მოვლენას ვხედავთ ჩვენს ქართველობაშიაც. მაგრამ აქ ფულის მაგიერ, (რომელიც ჩვენ, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, არა გვაქვს) ფულის მაგიერ ჩვენში გვარიშვილობას, დიდ-კაცობასა და ჩინსა აქვს დაუმსახურებელი პატივი და გავლენა. რაც უნდა საზოგადო საქმე დავიწყოთ, უექველად დიდი ვინმე თავადიშვილი ან ღენერალი უნდა დავაყენოთ წინამძღოლად, მოთავეედ და გამგებელად. ასე გვგონია—თუ ძველი დიდებული შთამომავლობის ანუ მსუქან ეპოლეტებიანი კაცი არ ამოუყენეთ ჩვენს საზოგადო საქმეებს, ისე ეს საქმეები ვერ იხეირებენ, ვერ იცოცხლებენ.

დიდი შეცდომაა ეს ჩვენის მხრით. სანამ ყოველ საქმის საწარმოებლად ისეთ პირებს არ ამოვარჩევთ, რომელნიც გულითა და სულით თანაუგრძნობენ ამ საქმეს, რომელთაც ენერგიულად, გულ-მოდგინედ და პატიოსნად შრომა შეუძლიანთ, და არა მარტო სახელისთვის დგებიან, სანამ ისეთ პირებს არ მივანდობთ ჩვენს საზოგადო საქმეებს, რომელთაც ამ გვარ საქმეებისათვის გული შესტკივათ და იმდენადაც გონება გახსნილები არიან, რომ შეუძლიანთ იმის რიგიანად წაყვანა, სანამ ამ დიდკაცობასა, გვარიშვილობას და ჩინებს არ დავივიწყებთ საზოგადო საქმეებში,—მანამ ამ საქმეების მაგრად ფეხზე დადგომას, წალმართად წაყვანას ჩვენ არ უნდა მოველოდეთ; მანამ ჩვენ ჩვენი ქველ-მომქმედი და საზოგადო საქმეები ისე მომაკვდაურად და კიბოსებურად იზოზინებენ, როგორც ახლა.

მგონია დროა, გავიგოთ შვიდასის წლის წინად დიდებულ რუსთველისაგან გამოთქმული ჭეშმარიტება, რომ, „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო!“

## ახალი ამბები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ აქაური ვაჭრების გამგეობა (კუპეჩესკი უპრავა) ქალაქის რჩევის წინაშე შუამდგომლობს, კომერციულ სასწავლებლის გახსნა იკისროს ქალაქში და რაც ამისათვის ხარჯი იქნება, ერთს ნაწილს ჩვენც ვიკისრებთო.

მეორე ახალი ამბავი, რომელიც აგრეთვე სწავლა-განათლების საქმეს შეეხება:

ქალაქის რჩევის ხმოსანს ბ. გ. გ. მევინგულოვს საქალაქო სასწავლებელთა გამგე კომიტეტში შეუტანია ქაღალდი, რომელშიაც დაწვრილებით არის მოხსენებული—თუ რა ვიწროობაა ქალაქის ახლანდელს საშუალ სასწავლებლეში, რამდენი ყმაწვილი რჩება ამ სასწავლებელში მიუღებელი, უადგილობის გამო, და როგორ შეიძლება ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს ბედი იმ მშობლებსა, რომელთაც თავიანთ შვილების გაზრდა ჰსურთ. ბ. მევინგულოვის აზრით, ზემოხსენებულ კომიტეტმა მოილაპარაკოს ამ საგანზე, თავის გარდაწყვეტილება ქალაქის რჩევას წარუდგინოს და თუ ეს რჩევა ნახევარ ხარჯს იკისრებს, მთავრობამ შეიძლება ახლი ე. ი. მესამე გიმნაზია გახსნას თფილისშიო.

ეს ორი საგანი ისეთი მძიმე საგნებია, რომ ამაზე ჩვენ ამ მოკლე ხანში დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

* * *

ზურიიდამ ტელეგრამმა მოგვივიდა, რომ გუშინწინ, შაბათს ერთს იქაურს ავაზაკს ქ. ოზურგეთში მოუკლავს თოფით ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ანტონ ნაკაშიძე.

დაწვრილებით ამბავს ამ საგნის შესახებ ფოჩტით მოველით.

* * *

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ოფიციალური შენიშვნა მთავრობისა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ტყუილი გამომდგარა ის ხმა, ვითომც არზრუმის ახლო-მახლო სოფლებში ჟამი (ჭირი) გამოჩნდაო. რუსის სტამბოლელ ელჩს, ბ. ნოვიკოვს უცნობებია ჩვენი მთავრობისთვის, რომ არც არზრუმის მახლობლად და არც სხვაგან მცირე აზიაში არავითარი გადამდები ავადმყოფობა არ არის ამ ჟამადაო.

* * *

კიდევ ერთიც საამო ამბავი აგრეთვე სწავლა-განათლების შესახებ:

ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის სამასწავლო მაზრის მზრუნველის წინადადებით, საცხენისის ორ-კლასიანი სასწავლებელი მომავალის წლიდამ რეალურ ექვს კლასიან სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს იმ პირობით, რომ უკანასკნელს ორს კლასში შაგირდებს სოფლის მეურნეობა უნდა ასწავლონო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ლაილაშიდამ ცაგერში გადატანა სასამართლოებისა და ადმინისტრაციის გარდაწყვეტილი საქმეაო. ამ ნაირად მომავალის წლიდამ ლეჩხუმის უეზდის ქალაქად ლაილაშის მაგიერად სოფ. ცაგერი შეიქნებაო.

* * *

გუშინ, კვირას, აკურთხეს ახალი შენობა ფრანგების სკოლისა. ამ დღისათვის 60 ყმაწვილს გამოუცხადებია სურვილი სკოლაში სიარულისა, ამათგან ნახევარი ვაჟები არიან და ნახევარიც ქალები.

* * *

დღეს გამოვიდა და დაურიგდა ხელის-მომწერთ მეთერთმეტე წიგნი ჟურნალის „ივერიისა“, რომელშიაც შემდეგი სტატიებია: ა) განკითხვა, ლექსი ვ. ო—სა; ბ) მეჩრიმა, ანუ ბოსნელები, დრამა ხუთ მოქმედებად მატიი ბანასი; გ) ნახული და გაგონილი (მგზავრის შენიშვნები); დ) სისხლის აღება (ამბავი ირლანდიის ცხოვრებიდამ) მისს ლაჟანისა; ე) თეატრი (ახალი მოთამაშეები. „მომაკვდავნი“); ვ) შინაური მიმოხილვა; ზ) კორესპონდენცია; თ) ნეკროლოგი (ყდაზედ).

* * *

დღეს, 7 საათზე, საადგილ-მამულო ბანკში არის დანიშნული ვეფხისტყაოსნის გარჩევა.

---

მაგრამ ღვთის სიტყვას კი უნდა მივხედოთ.

— შენი შვილების დღეგრძელობისთვის წყნარად და მოკრძალებით წარმოსთქვა სვიმონის ცოლმა.—შეირიგე.

სვიმონ ცოტა ხანს გაჩუმდა; აშკარად ეტყობოდა, რომ იმის გულში ბრძოლა ატეხილიყო კაცობრიობისა და ჩვეულების შუა. ბოლოს წყნარად წარმოსთქვა.

— ხმა ღვთისა და ხმა ერისა..... ამდენი ხალხი მეუბნებით... იყოს.... ისე იყოს, როგორც თქვენ გინდათ.

— აი შენი ჭირიმე, შენი! ღვთის მადლმა, რომ დიდი კაცი ხარ და დიდი ჭკუა გქონია... უფალი არ დაგიკარგავს....

— უფალი, იმისმა მადლმა, წარმოსთქვა სიმონმა და გადაიწერა პირჯვარი.

— მაშ შემოვიყვანოთ?... ქალბატონმა შვილობილად უნდა აიყვანოს.

— თქვენ იცით.

— ნუ დაგიკარგოს წმინდა გივარგიმ! სიხარულით წამოიძახა ლინჯამ და მიუბრუნდა იქ მყოფს ერთს მოხუცს:

— წადი შემოიყვანე.

ხალხს ისე რიგად უხაროდა ელგუჯას სამშობლოში დაბრუნება, რომ დიდი თუ პატარა, ყველა სვიმონის სახელს ლოცავდა.

ცოტა ხანს შემდეგ გაიღო კარები და წყნარად შემოვიდა ელგუჯა, რომელსაც რამდენიმე მოხუცი კაცი მოუძღოდა. სვიმონის ცოლი, რომელიც აქამდისინ ფეხზედ ტრიალებდა, „მარტოშკამში“ დასვეს დედაკაცებმა და გარს შემოეხვივნენ. ელგუჯა მივიდა პირ-და-პირ იმასთან, დაიჩოქა ცალ მუხლზედ და უთხრა:

— შენ დედა და მე შვილი.

ქალმა გადაიწია მკერდი და გამოიჩინა ძუძუ, რომელსაც ელგუჯამ სამჯერ დაადგა კბილი. იქ მყოფები ამ ჩვეულებას კრძალვით და მოწიწებით უყურებდნენ; ყველანი ქუდ-მოხდილები იდგნენ, იწერდნენ პირჯვარს და წარმოსთქვამდნენ რაღაცა ლოცვებს.

ელგუჯა ჯერ კიდევ დაჩოქილი იყო, როდესაც სვიმონის ცოლმა ნაზის ხმით წარმოსთქვა:

— ელგუჯაუ, დღეის შემდეგ შენ ჩემი შვილი ხარ, ჩემის რძით გაზრდილი

ამ სიტყვების შემდეგ ისინი მოეხვივნენ ერთმანერთს და როგორც ნამდვილი დედა-შვილი ისე დაჰკოცნეს ერთმანერთი. ბოლოს დედობილი წამოდგა, მოჰკიდა ხელი ელგუჯას, მიიყვანა მომაკვდავს თავის ქმართან, დაახოქა ტახტის წინ და უთხრა:

— აი შენი შვილი! დალოცე.

სვიმონმა გადმოიღო გახურებული ხელი, დაადო თავზედ და რამოდენიმე ხანი ჩუმად, გრძნობით უყურებდა იმას.

ვინ იცის რა გრძნობა აღელვებდა იმის გულს, რა სურათები წარმოსდგენოდა უკანასკნელს წუთებში?

— ელგუჯაუ! დალალულის ხმით დაიწყო სვიმონმა.—დღეის იქით შენა ხარ სისხლი ჩემის სისხლისგან და ხორცი ჩემის ხორცისგან! ვინც შენ გაწყენებს—მე მაწყენებს, ვინც შენ დავჰკრის—მე დამჰკრის. დღეის იქით შენა ხარ ჩემი შვილი და ნათესავი ჩემის გვარეულობისა. უღალატოს ღმერთმა იმას, ვინც ჩვენში ერთმანერთს უღალატოს.

— ამინ. წარმოსთქვა ელგუჯამ.

— ხალხო! დაიძახა სვიმონმა.— თემმა გადაწყვიტა მე და ელგუჯას საქმე და მეც დავყაბულდი და ვერც გადაველი თემის სიტყვას. თემის სურვილი ღვთის სურვილია; რაიც თემს უნდა, ის უნდა იქნას...

— ღვთის სიტყვას ანბობ, უფლის მადლმა! მოუწონეს იქ მყოფებმა.

— მე შემეძლო ათი... ოცი... ასი კაცი გამეფუჭებინა და ელგუჯა-კი ცოცხალი არ გამეშვა, მქონდა სამაგისო ძალა.

— ჰაი, ჰაი რომ გქონდა!

— მაგრამ მეც კი არ გადაველ თემის სიტყვას... გახსოვდესთ, ხალხო, რომ თემის სიტყვა ვერ გატყდება, ვერა!.. თემის სიტყვას ყველამ ისე უნდა დამორჩილდნენ, როგორც ღვთის სიტყვას!

— ჰაი, ჰაი! რომ უნდა დამორჩილდნენ.

— მე ბევრი სიცოცხლე აღარ დამრჩენია, დაიხსომეთ ჩემი ნაუბარი: თემობა არის ერთობა, ერთად ჭირსაც ლხინად გაატარებთ... ელგუჯა!.. თემმა მთელი შენი მამული, სათიბსახნავით, საძოვრით მე მარგუნა.

— ალალი იყოს, როგორც დედიშენის ძუძუ! უპასუხა ელგუჯამ წყნარად.

— არა, ელგუჯაუ!.. შენ დაგეშავებინოს რამე, შენი ბალღების რაი ბრალია? იმათ მე ულუკმოდ ვერ დავტოვებ... მაგრამ ჩემს მკვდარსაც უნიშნოდ ვერ დავკარგამ. ჩემი დაკლებულის ნიშნად, დამიგდია ჩემთვის ხევთაშუის სათიბი, შენც კარგად იცი, რომ სახლადა ჰქვიან იმას სათიბი,

## „დროების" კორრესპონდენცია

—

**ᲐᲑᲐᲨᲐ, 18** ნოემბერს. როგორც დიდ ქალაქებში, აგრეთვე პატარებშიაც უნდა გაიგოს ხალხმა კარგი ანუ ცუდი მოსავალი ამითი, რომ, როდისაც კარგი მოსავალი იქნება, უნდა გაიეფდეს პური, ღვინო, და სხვა ხორაგეული. იტყვიან:—ღმერთო, გმადლობ, წლეულს კარგი წელიწადი იყო, კარგად მოვიდა ყოველის ფერიო!—და გვიხარია, მაგრამა ის კი აღარ ვიცით—თუ რისთვის გვიხარიან და ანუ რა მოგვემატება ამითი! უნდა უხაროდეთ იმ ვაჭრებს, რომელნიც იეფად ჰყიდულობენ თუ ძვირად, მაინც ძვირად ჰყიდიან. იმათ რომ ჰკითხო:—წლეულს ხო მაინც კარგი მოსავალი იყო პურისა და ღვინოსი, რად ჰყიდით ეგრე ძვირადო? გიპასუხებენ:—აქ ხომ ქალაქი არ არის, რომ ტაქსია იყოს, როგორც გვინდა, ისე გავყიდით; თუ გნებავთ, იყიდეთ და თუ არა, ნუ იყიდიო!

ჩვენს მეფურნეებს რომ ჰკითხოთ, ამას გეტყვიან—სარგებლობა ეხლაც არა არის-რაო, თუმცა ექვს კაპეიკად ვყიდით მეორე ხარისხის პურსო; ნაკლებ გაყიდვა რა ხელს მოგვცემსო! (ხანდის-ხან ისეთს პურს გამოაცხობენ მეორე კი არა, მეცხრე ხარისხისასაც აღარა ჰგავს). ეგებ მართალიც იყოს მათი სიტყვა, მაგრამ ეს კი მიკვირს, რომ ერთს მეფურნეს თუ ხელს არ აძლევდა, მეორემ და მეათემ რაღად ააშენა ფურნე და „დაიწყო პურის ცხობა? ამ ჩვენს პატარა აბაშაში როგორც წვიმის შემდეგ სოკო, ისე ჩნდება ფურნეები. ეხლა გახლავსთ რვა ფურნე და ორი თორნე (ხაბაზი).

დღეს კი გვეშველა ვგონებ, ღმერთმა ააშენოს ჩვენი პრისტავის თჯახი ტაქსია დასწერა და მიაკრა დუქნებზედ მეორე ხარისხის პური 5 კაპ. გახადა, ღვინო მანიკა 30 კაპ. და სხვა (მოგეხსენებათ, წრეულს იმერეთში ძრიელ კარგი მოსავალი იყო ღვინოსი).

მაგრამ აჰყარეს ტლინკები მეფურნეებმა და ღვინის გამყიდველებმა, სთქვეს უარი და დაკეტეს დუქნები. მაგრამ იმედია, რომ ამისთანა ხრიკებით ჩვენს პრისტავს ვერ შეაშინებენ და გამოცხადებულს ტაქსიას ისე მალე ვერ მოასპობინებენ მით უმეტეს, რომ ორმა აქაურმა სხვა ვაჭრებმა გამოაცხადეს, ჩვენ მოგვეცით ნება და ჩვენ გამოვაცხობთ ამ ფასად პურსაო და ღვინოსაც ჩვენ გავყიდითო, თუ საჭირო არის ზალოგსაც შემოვიტანთო. პირუტყვის დაკვლასაც გვპირდებიან, თუ ნება ექნებათ მიცემული.

დღეს ერთმა ხაბაზმა გამოაცხო პური და გაჰყიდა იმ ფასად, როგორც ტაქციაში იყო; მაძლევს ხელსა და კიდევაც გამოვაცხობო. ამაზედ მიუცვივდნენ სხვები და ცხვირ-პირში სისხლი ადინეს და ამისთვის ცოტა ეჭვში ვართ: იქნება იმ ორ ვაჭარსაც ნებით ან ძალით უარი ათქმევინონ და მაშინ, რაღა საკვირველია, ისევ ძველებს დარჩებათ ბურთი და მოედანი.

აბაშელი.

---

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, 16** ნოემბერს. ისე უშიშრად დანავარდობენ ზუგდიდის მაზრაში ავაზაკები, რომ ეხლა დღისითაც დაიწყეს ოჯახ'ში მიხტომა და მტაცებლობა. სხვათა შორის, გუშინ რომ 15 ნოემბერი იყო, კვირა, შუადღეზედ ორი ცხენოსანი ყაჩაღი მიხტომია ზუგდიდის ქახათის საზოგადოებაში მცხოვრებს მღვდელს იოსებ მიშველაძეს და ეზოდგან მოუტაცნიათ ორი ცხენი ერთი მღვდლის და მეორე მისი მეზობლისა, და გაქცეულან; ამათ გამოკიდებია ახალ ნაწირევი მღვდელი ერთის ბიჭით და მოწევია გზაზედ; თუმცა ბევრი უთხოვნია მღვდელს, რომ არ წაეყვანათ მისი ცხენი, მაგრამ აღარ შეუწყნარებიათ. რომ არ მოშვებია მღვდელი, ერთ ყაჩაღთაგანი დაბრუნებია და რევოლვერი უსვრია ჯერ ბიჭისთვის, რომელსაც ასცდენია ტყვია და მერმე მღვდლისათვის, რომელიც შუა-ძვალ მოჰტვრეული ჯალავერით გუშინვე საღამოს მოუყვანიათ სახლში და ავაზაკები კი მოტაცებულის ცხენებით გაქცეულან.

ეს ამბავი დღეს გავიგე მე, მისმა ბლაღოჩინმა, და პირველ საათზედ წაველი სანახავად და ვნახე მღვდელი ჭერზედ დაკიდებულის ბაწრის საშუალობით მოძრაობდა წელს ზეით და ტკივილისაგან გამწარებული ჰკიოდა მწარედ; არის მძიმედ დაჭრილი შუაძვალი დამტვრეული აქვს; ტყვია მეორე მხირსკენ გასულა. ამის მორჩენა ღმერთმან იცის.

თუმცალა ზუგდიდამ მეშვიდე ვერსზედ მოხდა ეს უბედური შემთხვევა, მაგრამ გამომძიებელი და დოქტორი ჯერაც არ მოსულან და არც მგონია აწი მოვიდნენ, რადგანაც ისინი ამ გვარებზედ თავს არ იწუხებენ, და მხოლოდ პოლიციის პრისტავი გამოჰკიდებია ავაზაკებს, თუ რამე გაარიგა.

ასრე ამ გვარად არის ჩვენი საქმე. ეხლამდის ღამით გვეშინოდა სიარულისა და აწი დღისითაც ვერ გავბედავთ სამრევლოში სიარულს, თუ უმაღლესმა მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ამ საქმეს.

დეკანოზი მ. მეუნარგია.

---

## ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

---

თორემ იქ ღორღის მეტი არა არის-რა და არც გამოსადეგია... ის სათიბი დამიგდია ჩემი მკვდრის ნიშნად... დანარჩენი რაც კი შენი მამულია, შენთვისვე დამიბრუნებია, ამ უფროსი ხალხის მოწმობით.

— გიშველოს უფალმა! ერთხმად წამოიძახა გახარებულმა ხალხმა.

— შენ ჭირის სანაცვალო იყოს, შენა ჭირაიმე, ჩემი მამულიც და ჩემი თავიც! რად მინდა მამული, შენა მყვანდე ცოცხალი, თორემ რაი გამიჭირდება? უპასუხა ელგუჯამ.

ამის შემდეგ იმან აკოცა ხელზედ სვიმონს, რომელიც მისუსტებული მიწვა თავის საგებელზედ და დახუჭა თვალები.

ამ დროს კარებში მოისმა რაღაცა ხმაურობა და ერთბაშად გაიღო ოთახის კარები ხრიალით. ყველას გაუკვირდა ეს ამბავი, რადგან მთაში საზოგადოდ ავად-მყოფთან მტერიც კი პატივით და მოკრძალვით შედის ხოლმე. ერთბაშად იმათ თვალ-წინ წამოუდგათ რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი და ის ძველი ნაჩალნიკი ბ. ''Ც., რომელიც სვიმონმა გამოსცვალა.

— მე უმაღლესის მთავრობის მონდობილობით უნდა ჩამოგართვათ თქვენ ნაჩალნიკობა და გამოძიება მოვახდინო, ზოგიერთ თქვენგან ჩადენილს უკანონო მოქმედებაზედ! მკაცრად უთხრა იმან სვიმონს და გაიარ-გამოიარა.

— რაკი უმაღლეს მთავრობას მოუნდევია, მეც უნდა დავმორჩილდეთ... მე მაინც მოველოდი მაგას... იმდენი გულმოდგინე მოსამსახურე გამოჩნდნენ რომ ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ გთხოვთ ხვალამდინ დამაცადოთ... ავადა ვარ... სუსტად.

— მე მაგის გარჩევაში ვერ შევალ, დღესვე უნდა მოგცეთ რამოდენიმე კითხვა იმ ჯარის შესახებ, რომელსაც თქვენის მიზეზით ფასანაურის ვიწროებში დაეცნენ მთიულები.

— ჩემის მიზეზით? ჰკითხა ავადმყოფმა და მიაქცია სიცხისაგან ალგზნებული თვალები.

— დიახ, თქვენის მიზეზით... თითონ ჯარის უფროსი ამტკიცებს მაგას?

— ჯარის უფროსი? გაკვირვებით წამოიძახა სვიმონმა და პირისახეზედ ალმული აედინა.

— დიახ, ჯარის უფროსი ამტკიცებს მაგას და რამდენად მართალია იმის სიტყვები, იმას-კი გამოძიება აღმოაჩენს.

— ის კაცი, რომელიც ღმერთსა და რჯულსა ფიცულობდა, რომ ქალაქში ჩასვლის უმალეს ეცდებოდა მთის ხალხის გაჭირვების შემსუბუქებას, ჩამოვიდა და მაბეზღებს? მაგრამ რას უნდა ველირსებოდი მაგის მეტს?.. სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნიაო, ნათქვამია.

— ამას გარდა მე ნაბძანები მაქვს, რომ ყოველი ღონის-ძიება მოვიხმარო, რამდენადაც შესაძლო იქნება, მკაცრად დავსაჯო აჯანყებულების მოთავეები.

ამ სიტყვებმა ლახვრად გაუარეს სვიმონს გულში და თვალ-წინ წამოუდგა თავის მოძმეთ მდგომარეობა, რომელთ ბედ-იღბალი უვარდებოდა ხელში ისეთს კაცს, რომელმაც არ იცოდა იმათი ჩვეულება, ხასიათი და მაშასადამე სრულებით უმნიშვნელო მოქმედება მათი ჩაითვლებოდა აშკარა წინააღმდეგობად. სვიმონ კვნესოდა მწუხარებით, უნდოდა ეთქვა, დაეძახნა:

— მთის ხალხი გულ-კეთილი, მართალი, პატიოსანი ხალხია. ის ღირსი არ არის დაუნდობლობისა!

მაგრამ თავის მოპირ-და-პირეს შეხედავდა, პირზედ ცივი ოფლი გადმოედინებოდა და თავმოყვარეობა სიტყვას აწყვეტინებდა. ბოლოს როგორც იყო, დასძლია თავის თავმოყვარეობა და გულმა ველარ გაუძლო.

— იქონიე გულ-კეთილობა! ნუ მოექცევი მკაცრად მთის ხალხსა!.. ჯავრობით და ავ-გულობით იმათთან არა გამოვა-რა... —თორემ, თორემ... სიტყვები ველარ გაათავა და გადავარდა უკან.

— წყალი, წყალი! დაიძახა ახლად მოსულმა ნაჩალნიკმა, რომელსაც თითქოს კაცობრიული გრძნობა ალუძრა ამ სურათმა.

იმის ყვირილზე შემოვარდა სვიმონის ცოლი და სხვა მოსამსახურეები; მისცვივდნენ სვიმონს და დაუწყეს ბრუნება.

ნაჩალნიკმა შეხედა იმას, მიხვდა, რომ დრო აღარ იყო ლაპარაკის გაგრძელებისა და წყნარად გავიდა ოთახიდგან...

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

### მოწმობა

მოწმობა ესე მიეცემის თფილისის გუბერნიის საექიმო განყოფილებიდამ თფილისის მეორე გილდიის ვაჭარს სამსონ მიხაილის-ძის მღებროვს, რომ პროვანსის ზეთი, რომელიც მზადდება მის ქარხანაში მედიკურის გამოკვლევის შემდეგ, აღმოჩნდა კარგის ხარისხისა, რასაც ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით ვამტკიცებთ ენკენისთვის 11-ს 1881 წელსა ქ. თფილისი. თფილისის გუბერნიის ექიმისს თანამდებობის აღმასრულებელი სტატსკი სოვეტნიკი.

პ. კარპოვიჩი.

**ამასთანავე ვაცხადებ**, რომ მე თითონ პასუხს ვაგებ ჩემი ქარხნის ზეთის სიკარგეში იმ პირთ, რომელნიც მას იყიდიან პირ და პირ ქარხანაში, ანუ სალდათისბაზარში № 11, სადაც ისყიდება კერძოდ ჩემი ფირმის ზეთი.

### კოპტონი.

აჩვამეთ თქვენ საქონელს ჩემი ქარხნისა, რომ ათ დღეში შესანიშნავად გაგიხუქდეთ; საქონელი ფეთი ათი მაური ყოველ კამისიას მტკიცედ და მწრაფლად ვასრულებ. ერევნის ქუჩაზედ, ჩემს საკუთარ მამულში. (5—1)

თანახმად სასოფლო კრებათა გარდაწყვეტილებისა, «წერა-კითხვის საზოგადოება» მომავალს 1-ს იანვრიდამ ხსნის ორს სასოფლო სკოლას, ერთს თონეთში და მეორეს წინარეხში და მათთვის ეძებს მასწავლებლებსა.

მასწავლებლის თანამდებობის მსურველთ უნდა მოჰმართონ თხოვნით ხსენებულს საზოგადოების მმართველობას.

მასწავლებელს ექნება წელიწადში ოც და ათი თუმანი, შეშა და მოსამსახურე.

მმართველობა საზოგადოებისა იმყოფება მთაწმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლში № 9 (6—4)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩავინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჯანას გიარები. (100—45)

**ჩაის მცოდნე** პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—82)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება**: პარფუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—35)

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანქისაგან

### ს ქ ე მ ა

**ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გირავოს ფურცელთა, გამოსულთა მეათე (X) ტირაჟში, რომელიც მოხდა 2 ნოემბერს 1881 წლისა.**

ა) $43^1/_2$ წლ.

100 მან.

2 სერიისა . . . . . . . . . № 7.
3 „ . . . . . . . . . № № 24, 37, 41 და 68.
4 „ . . . . . . . . . „ „ 62 და 68.
5 „ . . . . . . . . . „ „ 131, 150, და 183.
6 „ . . . . . . . . . „ „ 64, 97 და 101.
7 „ . . . . . . . . . „ „ 226, 310 და 312.
9 „ . . . . . . . . . „ „ 946, 956 და 958.

500 მან.

10 სერიისა . . . . . . . № 412.

ბ) $18^7/_{12}$ წლ.

1000 მან.

2 სერიისა . . . . . . . № № 58 და 70.
7 „ . . . . . . . . „ „ 21 და 59.

შემდეგთა სერიათა № № 321, 527, 535, 570, 681, 793, 864, 891, 962, 965, 1092, 1116, 1140, 1283, 1316, 1324, 1332, 1369, 1405, 1415 და 1645.

500 მან.

3 სერიისა . . . . . . . № № 28 და 31.
4 „ . . . . . . . . „ 37.
7 „ . . . . . . . . „ 24.

შემდეგთა სერიათა № № 264, 293, 315, 323, 336, 337, 352, 478 და 540.

100 მან.

3 სერიისა . . . . . . . № 59.
5 „ . . . . . . . . № № 19 და 21.
6 „ . . . . . . . . „ „ 35 და 41.
7 „ . . . . . . . . „ „ 91, 165, 247 და 328.

შემდეგთა სერ. № № 814, 845, 883, 947, 970, 1006, 1219, 1260, 1291 და 1330.

გირავოს ფურცელნი, გამოსულნი უწინდელს ტირაჟში, მაგრამ ჯერკიდევ წარმოუდგენელი საზღვევლად.

| № № სერიებისა. | № № გირავოს ფურცელთა. | სარგებელი ეთვლებათ. |
| --- | --- | --- |
| | ა) $43^1/_2$ წლ. | |
| | 500 მან. | |
| 3 | 79 | 1 ივლისამდე 1880 წლისა. |
| | 100 მან. | |
| 3 | 2 | 2 ივლისამდე 1881 წლისა. |
| „ | 11 და 12 | 1 იანვრამდე 1879 „ |
| 4 | 23 | 1 ივლისამდე „ „ |
| „ | 71 | 2 იანვრამდე 1880 „ |
| „ | 82 | 1 ივლისამდე „ „ |
| „ | 90 | „ „ 1881 „ |
| 5 | 91 | „ „ „ „ |
| 6 | 76 და 193. | 2 იანვრამდე „ „ |
| 7 | 248 | „ „ „ „ |
| შემდეგთა სერიათა | 954, 955 და 982 | 1 ივლისამდე 1881 „ |
| | ბ) $18^7/_{21}$ წლ. | |
| | 1000 მან. | |
| 2 | 20 | 1 ივლისამდე 1881 წლისა. |
| 7 | 69 | „ „ „ „ |
| „ | 79 და 84. | 2 იანვრამდე „ „ |
| შემდეგთა სერიათა | 402 „ 611. | 1 ივლისამდე 1881 წლისა |
| | 500 მან. | |
| 4 | 3 | 1 ივლისამდე 1881 წლისა. |
| | 100 მან. | |
| 5 | 3 | 1 ივლისამდე 1879 წლისა. |
| 9 | 1048 | „ „ 1881 „ |

### შენიშვნანი:

ა) ზღვევა ირაოს ფურცელთა, გამოსულთა ამ მეათე ტირაჟში და აგრეთვე მომდინარე კუპონთა დაიწყება 2 იანვრიდან 1882 წლისა, და შემდეგ ამა დროიდგანვე მოისპობა სარგებელი ამ გირაოს ფურცელთა.

ბ) საზღვეველად წარმოდგენილთა გირაოს ფურცელთა ყველა კუპონები ზედ უნდა ჰქონდესთ სარგებლის მოსპობის ვადამდე, როგორც ზევით ნათქომია; ხოლო უკეთუ ამ კუპონების რიცხვიდან რომელიმე დააკლდა, მაშინ ამ დანაკლისის კუპონების ფასი გამოირიცხება გირაოს ფურცლის საზღვეველის ფულისაგან.

ბ) ზღვევა ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა და აგრეთვე კუპონთა მოხდება:

**ქ. ქუთაისს** — ბანკის სამმართველოში.

— **პეტერბურგს** — სახელმწიფო ბანკში და ვაველბერგის საბანკირო კანტორაში.

— **მოსკოვს** — სახელმწიფო ბანკის კანტორაში და აგრეთვე ლ. ს. პოლიაკოვის საბანკირო კანტორაში.

— **ოდესსას** და როსტოვს (დონის მდინარეზედ) სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს კანტორებში.

— **ვარშავას** — ვაველბერგის საბანკირო კანტორაში,

— **თფილისს** — სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.

— **ნიჟნი-ნოვგოროდში**, ვლადიკავკაზში და ბაქოში — სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს განყოფილებაებში.

ბანკის გამგეობა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი